ქართული სამზარეულოს ცნობადობა ევროპაში

დიანა ფირცხალავა

„სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე, მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად“

პროგრამა: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ბეგაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

დიანა ფირცხალავა

18.06.2023

აბსტრაქტი

ბოლო დროს ქართულმა სამზარეულომ მნიშვნელოვანი პოპულარობა მოიპოვა მთელ მსოფლიოში, მათ შორის ევროპაშიც, სადაც ქართული რესტორნების რაოდენობა სტაბილურად იზრდება. ამ კვლევის აქტუალობა მდგომარეობს ევროპაში ქართული რესტორნების ცნობადობის, მის გაფართოებასთან დაკავშირებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების შესწავლაში. რამდენადაც იზრდება მოთხოვნა ქართულ კულინარიულ გამოცდილებაზე, გადამწყვეტი ხდება იმ ფაქტორების გაგებაც, რომლებიც ხელს უწყობენ რესტორნების წარმატებას ან შეფერხებას.

გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია, სადაც შეირჩა ათი მონაწილე, რომლებიც ფლობენ ქართულ რესტორნებს ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ინტერვიუს შედეგად მიღებული შედეგებით შესაძლებელი იქნება მათი პერსპექტივიდან არსებული სიტუაციის შეფასება და ისეთი სტრატეგიების დაგეგმვა, რომელიც მომავალში დაეხმარება მსურველებს შექმნან საინტერესო კონცეფცია და აგრეთვე სასადილო გამოცდილება.

შეჯამების სახით, ქართული სამზარეულო თავის მხრივ ემსახურება ქვეყნის კულტურული ელჩის სტატუსის ტარებას და ქმნის ისეთ პროდუქტს, რომელიც უნიკალურია და საკმაოდ კონკურენტ უნარიანი.

საკვანძო სიტყვები: სასადილო გამოცდილება, ცნობადობა, რესტორანი, გამოწვევები, შესაძლებლობები.

Abstract

Recently, Georgian cuisine has gained significant popularity all over the world, including in Europe, where the number of Georgian restaurants is steadily increasing. The relevance of this research lies in the study of awarness, challenges and opportunities related to the Georgian restaurants in Europe. As the demand for Georgian culinary experiences grow, it is crucial to understand the factors that contribute to the success or failure of restaurants.

A qualitative research methodology was used, where ten participants who own Georgian restaurants in different European countries were selected. With the results of the interview, it was possible to evaluate the current situation from their perspective and plan such strategies that in the future will help the person of interest to create an interesting concept as well as a dining experience.

In summary, Georgian cuisine serves as a cultural ambassador of the country and creates a product that is unique and quite competitive.

keywords: Dining experience, awarness, restaurant, challenges, opportunities.